ხელშეკრულება №107

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(კლასიფიკატორის კოდი CPV31500000)

ქ. ბათუმი, 27 ოქტომბერი 2017 წელი

ერთის მხრივ ააიპ „ბათუმის ტურისტული ობიექტების მართვის სააგენტო“ (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი სააგენტოს დირექტორის ალექსანდრე თევზაძეს სახით და მეორეს მხრივ, ელექტრონული ტენდერის (**SPA170012262**) საშუალებით, ააიპ ბათუმის ტურისტული ობიექტების მართვის სააგენტოსათვის 2017 წლის საბიუჯეტო სახსრებიდან ელექტრო-საქონელის შესყიდვასთან დაკავშირებით გამარჯვებული შ.პ.ს. „მინია“ წარმოდგენილი მისი დირექტორის მინდობილი პირის გიორგი ქევხიშვილის სახით (შემდგომში ,,მიმწოდებელი”), „გამარტივებული შესყიდვის, ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის № 12 ბრძანების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) -შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „საქონელი“–ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7. „ტექნიკური დოკუმენტაცია“ - სახელშეკრულებო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალება, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსყიდველისათვის ელექტრო-საქონელის მიწოდება - შემდგომში „საქონელი“;

მუხლი 3. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი

3.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ღირებულება შეადგენს **10050 (ათიათასორმოცდაათი) ლარს,** (შემდგომში „ხელშეკრულების ფასი“).

3.2. ხელშეკრულების ფასი მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, რაზედაც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

მუხლი 4. ხელშეკრულების შემადგენლობა

4.1. წინამდებარე ხელშეკრულებას ქმნიან და ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ შემდეგი დოკუმენტები:

ა) ტექნკური დაოკუმენტაცია (დანართი N1);

ბ) ფასების ცხრილი (დანართი N2);

მუხლი 5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება), რომლის მიზანია მომსახურების შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

5.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს (ინსპექტირებას) ახორციელებენ ააიპ „ბათუმის ტურისტული ობიექტების მართვის სააგენტო"-ს ტექნიკური ზედამხედველობის ჯგუფის უფროსი ბესარიონ ჟღენტი და საწყობის გამგე თამაზ ხუხუნი ან\და ამ საქმიანობისათვის საჭირო მოწვეული სპეციალისტი (სპეციალისტთა ჯგუფი).

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

მუხლი 6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1.საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეთა მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6.2. საქონლის მოწოდების შემდეგ ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

6.3. შემსყიდველი ვალდებულია აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული მომსახურების შესახებ წუნდების მიზეზის მითითებით.

6.4. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმომწერი პირია ააიპ „ბათუმის ტურისტული ობიექტების მართვის სააგენტო"-ს საწყობის გამგე თამაზ ხუხუნი.

მუხლი 7. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

7.2. ანგარიშსწორება მოხდება ფაქტიურად მიწოდებული საქონელის შესაბამისად

7.3. წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია ანგარიშსწორებისას წარმოადგინოს:

ა) ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულების შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის და საგადასახადო ანგარიშ- ფაქტურის საფუძველზე წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

ბ) საბოლოო ანგარიშსწორება მიმწოდებელთან მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარმოდგენის შემდგომ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 8. მხარეთა უფლება–მოვალეობები

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს მიმწოდებლისაგან ჯეროვნად, კეთილსინდისიერად მიწოდებული საქონელი.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია გადაუხადოს მიმწოდებელს მოწოდებული საქონლის ფასი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

8.3. მიმწოდებელი ვალდებულია ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და დროულად მიაწოდოს შემსყიდველს საქონელი.

8.4.მიმწოდებელს უფლება აქვს საქონლის მოწოდების სანაცვლოდ მიიღოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა.

მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესრულებული სამუშაო იქნება ხარისხიანი, უპასუხებს ხელშეკრულებითა და ტექნიკური პირობებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს;

მუხლი 9. გარანტია

მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი იქნება ხარისხიანი, უპასუხებს ხელშეკრულებითა და ტექნიკური პირობებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს;

მუხლი 10. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

10.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის (ან არაჯეროვნად შესრულების) შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მას პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების თანხის 0,02%-ის ოდენობით, შეუსრულებელი ვალდებულების ყოველი დღისათვის, რომელსაც მიმწოდებელი შემსყიდველს უხდის პირად სახაზინო ანგარიშზე ჩარიცხვის წესით, არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმალობაში.

10.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

10.3. იმ შემთხვევაში, თუ საჯარიმო სანქციების ჯამური ოდენობა შეადგენს ხელშეკრულების ფასის 4%-ს შემსყიდველი უფლებამოსილია არიან ცალმხრივად გაწყვიტონ ხელშეკრულება;

10.4.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

მუხლი 11. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

11.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

11.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

11.5. მხარე ვალდებულია რაიმე სახის გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

11.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 12. დაუძლეველი ძალა

12.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

12.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

12.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 14. სხვა პირობები

14.1. იურიდული მისამართის ან/და საბანკო რეკვიზიტების შეცვლის შემთხვევაში მხარეები ვალდებულნი არიან 3 დღის ვადაში წერილობით აცნობონ ერთმანეთს ამის შესახებ.

მუხლი 15. საქონლის მოწოდებისა და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. შესყიდვის ობიექტზე საქონლის მოწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 2017 წლის 11 ნოემბრის ჩათვლით პერიოდი;

15.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადაა: 2017 წლის11 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი16. განსაკუთრებული პირობები

16.1. ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს;

16.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება ,,მიმწოდებელთან'' მეორე ეგზემპლარი ,,შემსყიდველთან''

"შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
ააიპ "ბათუმის ტურისტული ობიექტების მართვის სააგენტო" საიდენტიფიკაციო კოდი: 445475405 მისამართი:ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის 25. ტელეფონი: 577722229 **სახელმწიფო ხაზინა:** **სახაზინო კოდი: 749679921**	შ.პ.ს „მინია" საინდიფიკაციო კოდი: 445391399 მისამართი: ქ. ბათუმი, ილია ჭავჭავაძის ქ.,N 17 ბ. 9 ტელეფონი: 557161684 სს"პროკრედიტ ბანკი" **ბანკის კოდი: MIBGGE22** ა/ა. **GE42PC0033600100048317**

შემსყიდველი:

ალექსანდრე თევზაძე

მიმწოდებელი:

გიორგი ქევხიშვილი

1. ტექნიკური პირობები

1.1 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შემდეგი დასახელების ელექტრო-საქონელის მოწოდება.

საქონლის დასახელება	ძირითადი მახასიათებელი
IP 66 პროჟექტორი დიოდის	100 W, 6500 k(სიმაღლე 33 სმ, სიგანე 28 სმ)
სპირალური ეკონათურა	80 W, 6500 k
სპირალური ეკონათურა	30 W, 6500 k
9 W ლედ ნათურა(60 სმ)	6500 k
18 W ლედ ნათურა(120 სმ)	6500 k
დროსელი 220 W- დან 12 W-ზე გადამყვანი	16A(LED)
LED ბრა დიოდზე (დიამეტრი 500 მმ)	
სანათი მოწობილობა დიოდური ჭერში დასაყენებელი(უკანა დიამეტრი 10 სმ)	6 W, 6500 k
ნათურა პროჟექტორის	400W, 6500 k
სილიკონის ლედის განათება (შლანგი) თავისი 6 დროსელით	10 W, 6500 k,
პროჟექტორის დასაყენებელი შტატივი	
მეტალოჰალოგენის დროსელი	400W

2. ხელშეკრულების აუცილებელი პირობები:

2.1. ანგარიშსწორება ხორციელდება საქონლის მიწოდების შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და დღგ-ს ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან (დღგ-ს გადამხდელის შემთხვევაში) არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში და პირგასამტეხლოს ჩარიცხვის შემდგომ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

2.2.ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარისწორებით ლარში;

2.3. წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება;

2.4. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა:

ა) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის (ან არაჯეროვნად შესრულების) შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მას პირგასამტეხლო: სახელშეკრულებო თანხის 0,02%-ის ოდენობით, შეუსრულებელი ვალდებულების

ყოველი დღისათვის, რომელსაც მიმწოდებელი შემსყიდველს უხდის პირად სახაზინო ანგარიშზე ჩარიცხვის წესით, არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმალობაში.

ბ) საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს არც ერთ მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

გ) იმ შემთხვევაში, თუ საჯარიმო სანქციების ჯამური ოდენობა შეადგენს ხელშეკრულების ფასის 5%-ს მხარეები უფლებამოსილნი არიან ცალმხრივად გაწყვიტონ ხელშეკრულება.

დ) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების თანხის ღირებულების 5%-ის ოდენობით.

3. საქონლის მიწოდების ვადები და პირობები

ა) საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდალური დღის განმავლობაში.

ბ) შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქალაქი ბათუმი, წერეთლის №2

გ) ხელშეკრულების მოქმედების ვადა არანაკლებ 30 დღით აღემატება საქონლის მიწოდების ვადას;

3.1. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ:

ა) ხელშეკრულების საბოლოო ვარიანტი დაზუსტდება ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულ მომწოდებელთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში, გარდა სატენდერო დოკუმენტაციის მე-4 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნებისა.

4. საგარანტიო ვადა.

ა) მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის გარანტია, მისი ექსპლუატაციის ვადის (ნათურის მუშაობის ხანგრძლივობის ვადა) პერიოდში, რომელიც აითვლება საქონლის მიწოდების დღიდან, გარდა ელექტრო ქსელში ძაბვის მკვეთრი ცვალებადობით გამოწვეული დაზიანებისა. სატენდერო პირობებთან ხარვეზის, დაზიანების და დეფექტის მქონე საქონლის დაფიქსირების შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია მოითხოვოს გამოვლენილი ნაკლის ან ხარვეზის გამოსწორება (თუ ეს შესაძლებელია) ან საქონლის შეცვლა ახლით, აღნიშნულის შესახებ შემსყიდველი ატყობინებს მიმწოდებელს წერილობით ან/და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით (მიმწოდებლის მიერ მითითებულ ელ. მისამართზე), შეტყობინების გაგზავნის მომდევნო დღიდან აითვლება წუნდებული საქონლის ხარვეზის გამოსწორების ან შეცვლის 05 დღიანი ვადა შენიშვნა:

ბ) მიმწოდებელი ვალდებულია, ყოველგვარი წინა პირობის გარეშე, გონივრულ მაგრამ არაუმეტეს 05 კალენდარული დღის ვადაში, უზრუნველყოს ნაკლოვანებების აღმოფხვრა ან შეცვლა წუნდებული საქონლის ახლით. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო, დაუბრუნებელი წუნდებული საქონლის ღირებულების 2%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, მაგრამ არაუმეტეს 30 დღისა.

გ) საგარანტიო პერიოდი შეადგენს ერთ თვეს საქონლის მიწოდებიდან და მირება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან.

ფასების ცხრილი

№	საქონლის დასახელება		ძირითადი მახასიათებელი	წარმოშობის ქვეყანა	მწარმოებელი კომპანია, მოდელი	ზომის ერთ	რაო-ბა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)
1	IP 66 პროჟექტორი დიოდის	31521320	100 W, 6500 k(სიმაღლე 33 სმ, სიგანე 28 სმ)	ჩინეთი	Kendal Elk. Ayd. Elelktronik Ins. San. Ve. Dis. Tic. LTD Sti./KENDAL/KLF-146B	ცალი	110	68	7480
2	სპირალური ეკონათურა	31512000	80 W, 6500 k	ჩინეთი	Kendal Elk. Ayd. Elelktronik Ins. San. Ve. Dis. Tic. LTD Sti./KENDAL/Ges026	ცლი	50	10	500
3	სპირალური ეკონათურა	31518100	30 W, 6500 k	ჩინეთი	Greengo E.M.E.A FZE/Greengo/GO-1559	ცალი	80	4	320
4	9 W ლედ ნათურა(60 სმ)	31518100	6500 k	ჩინეთი	Greengo E.M.E.A FZE/Greengo/GO-4230	ცალი	50	4	200
5	18 W ლედ ნათურა(120 სმ)	31531000	6500 k	ჩინეთი	Greengo E.M.E.A FZE/Greengo/GO-4231	ცალი	50	4.12	206
6	დროსელი 220 W- დან 12 W-ზე გადამყვანი	31531000	16A(LED)	ჩინეთი	Kendal Elk. Ayd. Elelktronik Ins. San. Ve. Dis. Tic. LTD Sti./KENDAL/KLD-200	ცალი	10	23	230
7	LED ბრა დიოდზე (დიამეტრი 500 მმ)	31531000		ჩინეთი	JIAFU CO.,LTD/TBK/A-MBMZ-R500	ცალი	5	55	275
8	სანათი მოწობილობა დიოდური ჭერში დასაყენებელი(უკანა დიამეტრი 10 სმ)	31531000	6 W, 6500 k	ჩინეთი	Kendal Elk. Ayd. Elelktronik Ins. San. Ve. Dis. Tic. LTD Sti./KENDAL/KDL-400	ცალი	40	5.6	224
9	ნათურა პროჟექტორის	31531000	400W, 6500 k	ჩინეთი	JIAFU CO.,LTD/Alite MH-BT 400W	ცალი	10	8	80
10	სილიკონის ლედის განათება (შლანგი) თავისი 6 დროსელით	31531000	10 W, 6500 k,	ჩინეთი	JIAFU CO.,LTD/2835-144	მეტრი	70	3.5	245
11	პროჟექტორის დასაყენებელი შტატივი	31531000		ჩინეთი	Horoz Electric/Horoz/1070010001	ცალი	2	75	150
12	მეტალოჰალოგენის დროსელი	31531000	400W	ჩინეთი	Greengo E.M.E.A FZE/Greengo/GO-3002	ცალი	4	35	140
									10050

დირექტორის მინდობილი პირი: გიორგი ქევხიშვილი